ხელშეკრულება N97

(ავტოტრანსპორტის პარკირების მომსახურების შესახებ)

ქ. ბათუმი 11 მაისი 2022 წელი

ერთის მხრივ,სსიპ „ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“ (შემდგომში“შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის თემურ მახარაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი’’-ს (შემდგომში „მიმწოდებელი“),წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან ლაზარიაშვილის სახით საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახე“ მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი“ თანახმაა „შემსყიდველისათვის“ უზრუნველყოს პარკირების საერთო ადგილებით სარგებლობის უფლება (CPV:63712400) თვითმმართველი ქ. ბათუმის ტერიტორიაზე, შემსყიდველის ავტომანქანა შემდეგი სახემწიფო ნომრით:

1.1.1. სახელმწიფო ნომერი: CC-459-CD (MERCEDES BENZ).

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია „შემსყიდველს“ მიაწოდოს ხარისხიანი მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

2.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია „მიმწოდებელს“ დროულად გადაუხადოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისიწნებული პირობებითა და წესით მომსახურების ღირებულება.

2.3. შემსყიდველი ვალდებულია**,** პარკირების საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში **(**საგადახდო დავალებაში**)** სწორად მიუთითოს მხარეებს შორის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული წინამდებარე ხელშეკრულების ნომერი ან/და ავტომანქანის სახელმწიფო ნომერი**,** წინააღმდეგ შემთხვევაში მონაცემების უსწოროდ ან არ დაფიქსირებისას გამოწვეულ შემდგომ სამართლებრივ შედეგებზე **(**ჯარიმა**)** მიმწოდებელი პასუხს არ აგებს**.**

3. მომსახურების მიწოდების პირობები

3.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1. **365** (სამასსამოცდახუთი) დღის განმავლობაში 1 (ერთი) მსუბუქი ავტომობილის პარკირების სარგებლობისატვის საფასური შეადგენს 60 (სამოცი) ლარს, შესასყიდი მომსახურების მთლიანი ღირებულება შეადგენს 60.00 (სამოცი ლარი და ნული თეთრი) ლარი.

4.2. მომსახურების ღირებულება წარმოადგენს „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და ტაქსების პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ 2013 წლის 28 თებერვლის #4 დადგენილებითა და 2020 წლის 25 თებერვლის #15 (სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.132.016476) დადგენილებით განხორციელებული ცვლილებით გათვალისწინებულ გადასახადს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია ,,შემსყიდველი".

,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.4. ,,შემსყიდველი"–ს მიერ ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების ანაზღაურება ხდება წინასწარი ანგარიშწორებით (მოთხოვნის შესაბამისად ინვოისის საფუძველზე). რის შემდეგაც ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი და იწერება ელექტრონული ანგარიშფაქტურა..

4.5. ,,შემსყიდველის“ მიერ პარკირების სარგებლობისათვის საფასური გადახდილად ჩაითვლება გადახდის დღიდან (გააქტიურებიდან) და მოქმედებს მომდევნო 365 (სამასსამოცდახუთი) დღის განმავლობაში.

5. გარანტია

5.1. ,,მიმწოდებელი” იძლევა გარანტიას გაწეული მომსახურების ხარისხზე.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
6.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. უფლებების გადაცემა

7.1. „მიმწოდებელმა" „შემსყიდველს" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობები შეუსრულებლობის გამო

9.1. „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ: ა) თუ „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაუწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, ან მისი ნაწილი.
ბ) თუ „მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.3. „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე: ა) თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას; ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დამოწმების დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 ივნისის ჩათვლით, ხოლო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მის სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომელზეც შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დასმულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპი, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და ინახება ხელშეკრულების დამდებ მხარეებთან.

13.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მისი მონაწილეობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის პროცედურაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

13.3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის სახით ოფიციალურ ელფოსტაზე ა/და იურიდიულ მისამარეთზე.

14. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი''
სსიპ „ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“ ს/კ 245 429 415 მის.ქ.ბათუმი, მ.აბაშიძის #49 სახელმწიფო ხაზინა დირექტორი: თემურ მახარაძე	შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი" ს/კ 245445200 იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. #13. მიმღების დასახელება: სს საქართველოს ბანკი" ბანკისკოდი:BAGAGE22 ა/ნ GE91BG0000000049743100 დირექტორი ლევან ლაზარიაშვილი